

**რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის
ქართულში**

სინტაქსის საგნის ტრადიციული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც სინტაქსი შეისწავლის ურთიერთობებს სიტყვათა შორის, ზოგადია და, ამდენად, არ აზუსტებს ამ ურთიერთობის მონაწილე სიტყვების არც ოდენობას და არც მათ ხასიათს. მაგრამ, როგორც კი გადავდივართ სინტაქსურ ურთიერთობათა კონკრეტული შემთხვევების განხილვაზე, საკითხი მისვე სათანადო ჩარჩოებში ექცევა და ანალიზის კონტურებიც მკაფიოვდება. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ სინტაქსური ურთიერთობები მყარდება არა ნებისმიერი რაოდენობისა და თვისების მქონე სიტყვებს შორის, არამედ, პირველ ყოვლისა, მხოლოდ **სინტაგმების**, ანუ **სინტაქსური წყვილების კომპონენტებს შორის**. „თვით წინადადებას სინტაქსი შეისწავლის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სიტყვები ერთმანეთთან წინადადებებში არიან დაკავშირებული“ (ერთელიშვილი 1963: 216), ე. ი. სინტაქსისათვის საინტერესოა ურთიერთობები ერთმანეთთან ლოგიკურად (აზრობრივად) და გრამატიკულად დაკავშირებულ **ორ სიტყვას** შორის, რომელთაგან **ერთი მთავარია, მეორე** – მასზე **დამოკიდებული** (მაშასადამე, მათ შორის ურთიერთობა ერთგვარად **ქვეწყობის** პრინციპზეა დაფუძნებული).

ქართულში **სინტაქსურ ურთიერთობათა** ცნობილ სამ სახეს შორის ძირითადად მიჩნეულია ორი: **შეთანხმება** და **მართვა**, რაკი ეს ურთიერთობები მყარდება ფორმაცვალებად სიტყვებს შორის: ერთი მხრივ, სახელებს შორის, მეორე მხრივ – სახელსა და ზმნას შორის. ისინი ორი სტრუქტურული ტიპის სინტაგმების ჩარჩოებში მოქმედებს: 1. **სახელურ სინტაგმებში**, რომლებიც არსებითად ქმნიან მსაზღვრელისა და საზღვრულისგან შედგენილ სინტაქსურ წყვილებს და 2. **ზმნურ სინტაგმებში**, რომლებიც შეიცავს ზმნას სხვადასხვა წყვილში: სახელებთან ან ფორმალურად სიტყვებთან (ზმნისართი, ნაწილაკი...).

სახელური სინტაგმები, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფს ქმნის მსაზღვრელთა სახეების მიხედვით: **ა)** შეთანხმებულმსაზღვრელი-ანსა და **ბ)** მართულმსაზღვრელიანს.

ზმნურ სინტაგმებს შეადგენს: **ა)** ზმნა + სახელი (სუბიექტი, ობიექტი) და **ბ)** ზმნა + ე.წ. უდეტრები: ზმნისართი ან ნაწილაკი.

წერილის მიზანია დამოკიდებულ წევრთა მრავლობითში შეპირობების მექანიზმების გარკვევა თუ დაზუსტება ქართული ენის ორივე ტიპის სინტაგმებში და, თუმცა ეს საკითხები საკმაოდ საფუძვლიანად უკვლევია არაერთ ავტორს¹, ვფიქრობთ, სათანადო ყურადღებას იმსახურებს მრავლობითობის გამოხატვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომლებიც კვლავაც ნაკლებ შესწავლილ საკითხებს შორის რჩება.

1. სახელურ სინტაგმებში ორი ძირითადი საკითხი იკვეთება:

ა) საზღვრულის რიცხვი რაოდენობით რიცხვით სახელებსა და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან;

ბ) რიცხვით მსაზღვრელთა და საზღვრულთა სინტაქსური სტატუსი

ახალ ქართულში.

2. ზმნურ სინტაგმებში ასევე ორი საკითხი იქცევს ყურადღებას:

ა) მრავლობითში დასმულ აქტანტებთან (სუბიექტ-ობიექტებთან) ზმნის შეთანხმების ზოგადი პრინციპები;

ბ) ე. წ. „სუპლეტური“ (ფუძემონაცვლე) ზმნების ხმარების სპეციფიკა.

¹ პირველ ყოვლისა, იგულისხმება: **არნ. ჩიქობავა**, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., (1928), 1968; **ა. შანიძე**, ქართული (ენის) გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953 (1962, 1973); **ივ. ქავთარაძე**, რიცხვმონაცვლე ზმნები ქართულში: იკვ, I, თბ., 1946; **ლ. კვაჭაძე**, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; 1996; **ც. კალაძე**, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან: კრ. „ქართული სიტყვის საკითხები“, IV, 1981.

ეს საკითხები განხილულია ახალი სალიტერატურო ქართულის მასალის მიხედვით¹. საჭიროებისამებრ მოხმობილია ძველი ქართულის მონაცემებიც.

1. სახელური სინტაგმები

ა) საზღვრულის რიცხვი რაოდენობით რიცხვით სახელებსა და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან.

სახელური სინტაგმების წევრთა შორის სინტაქსურ ურთიერთობებზე მსჯელობისას მეტწილად მხედველობაში აქვთ **მსაზღვრელ-საზღვრულის** ურთიერთობა². მათ მნიშვნელოვანი თავისებურებით ემიჯნება სინტაგმები, რომელთა მსაზღვრელებიც გადმოცემულია რაოდენობითი რიცხვითი სახელებით ან განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი სახელებით.

მართული მსაზღვრელის შემცველ სინტაგმებზე აქ ყურადღებას არ შევაჩერებთ: პრეპოზიციური სახელი, რომელიც გამოხატავს კუთვნილებას (*მეგობრის* შვილი) ან მასალას (*ქვის* სახლი), ფაქტობრივ, გაქვავებული სახით წარმოდგება და დიდი გასაქანია არა აქვს (აღარ იბრუნვის).

რაც შეეხება **ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის** სინტაქსურ ურთიერთობას, იგი მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამგვარ სინტაგმებში მსაზღვრელის ფორმალური დაქვემდებარება საზღვრული არსებითი სახელისადმი **ბრუნვაში შეთანხმებით** გამოიხატება, და ეს უფრო თვალსაჩინოა თანხმობაზე ფუძემგათავებულ მსაზღვრელებში (*ლამაზ-ი ქა-ლ-ი* /-ის /-ით, *ლამაზ-მა ქა-ლ-მა*, *ლამაზ-მ ქა-ლ-ს* /-ად, *ლამაზ-ო ქა-ლ-ო*).

ასეთი დამოკიდებულება ყველა მსგავსი სტრუქტურის ატრიბუტული მსაზღვრელისათვის საერთოა.

¹ ავტორთა ნაწარმოებებისა და გვერდის მიუთითებლობის შემთხვევაში ვეყრდნობით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულიდან მოხმობილ მასალას.

² დაწვრილებითი ცნობებისათვის ქართულ ენაში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობების შესახებ იხ. კრებ. „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“ (სბიქე), I, თბ., თსუ გამ-ბა, 1956.

პოსტპოზიციური წყობისას ან საზღვრულისგან გათიშვისას, მსაზღვრელი სრული შეთანხმებისკენაა მიდრეკილი, თუმცა თვით ეს წყობა პრაქტიკულად იშვიათია და მხოლოდ რიტმულად თუ სტილებრივად მარკირებულ კონტექსტებში გვხვდება, მეტადრე – პოეზიაში. გავიხსენოთ ცნობილი მაგალითები ვაჟას პოეზიიდან: „ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“, ანდა: „იას უთხარით ტურფასა“.

მსაზღვრელის საზღვრულთან **რიცხვში შეთანხმების** შემთხვევები არსებითად **ნარ/თანინი** მრავლობითით შემოიფარგლება („შვიდ-**ნ**-ი ძმა-**ნ**-ი გურჯანელ-**ნ**-ი“, შვიდ-**თ**-ა ძმა-**თ**-ა გურჯანელ-**თ**-ა, „მთა-**ნ**-ი მაღალ-**ნ**-ი“, მთა-**თ**-ა მაღალ-**თ**-ა). მაშასადამე, ახალ ქართულში **მსაზღვრელის ფორმა** არსებითად **საზღვრულის ბრუნვის ფორმით** არის შეპირობებული.

ბ) რიცხვით მსაზღვრელთა და საზღვრულთა სინტაქსური სტატუსისათვის.

საგანგებო ყურადღებას იპყრობს **სიმრავლის აღმნიშვნელი მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან**. ამ დროს მსაზღვრელი გამოხატულია რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი მსაზღვრელი სახელით (უპირატესად ზედსართაული ან ნაცვალსახელური წარმოშობისა).

ამ სახის წყვილებში სინტაქსური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ **ერთზე მეტი რიცხვის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან საზღვრული ისევე მხოლოდობითია** (მაგ., *ათი წელი, მრავალი წელი; რამდენიმე კაცი, ზოგი თვალსაზრისი, ყველა ბავშვი...*), რაც **განასხვავებს ქართულს ინდოევროპულ ენათა** (და არა მარტო ამ ოჯახის ენათა) **უმრავლესობისაგან**, რომლებშიც მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც, გრამატიკული სქესის კატეგორიის მქონე ენებში კი – სქესშიც, რის საუკეთესო ილუსტრაციასაც იძლევა რუსული ენა. ერთმანეთს შევუდაროთ, ვთქვათ, „გოგონას“ და „ბიჭის“ აღმნიშვნელი რუსული სახელები და „ორისა“ და „ორიკეს“, აგრეთვე „ხუთის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებთან:

მდედრობითი სქესის სახელები
две / обе девочки – пять девочек

მამრობითი სქესის სახელები
два / оба мальчика – пять

мальчиков

двух / обеих / пяти девочек
ПЯТИ МАЛЬЧИКОВ

двух / обоих / пяти мальчиков

მოყვანილ სახელთა დაბოლოებები ცხადად გვიჩვენებს დიფერენცირებას არა მარტო ბრუნვის, არამედ რიცხვისა და სქესისა მიხედვითაც.

საანალიზო სახის ატრიბუტულ სინტაგმებში რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით სინტაქსურ ურთიერთობათა განხილვისას ყურადღების მიღმა დარჩენილი შემდეგი გარემოება:

ერთზე მეტის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ან განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვის მსაზღვრელად გამოყენებისას სინტაგმის მთავარ და დამოკიდებულ წევრებს შორის **იგვლება იერარქიული მიმართებები სინტაგმის „სიუზერენულსა“ და „ვასალურ“ წევრებს შორის**, რაც გარკვეულწილად ანეიტრალებს და საეჭვოს ხდის მსაზღვრელ-საზღვრულის დღესდღეობით დადგენილი იერარქიული დამოკიდებულების ცალმხრივ მიმართულებას.

ეს „ნეიტრალიზაცია“ ფორმალურად იმაში ვლინდება, რომ, თუ **ბრუნების** თვალსაზრისით **დამოკიდებული წევრი** (მსაზღვრელი) **ეთანხმება მთავარს** (საზღვრულს) **ბრუნვაში**, ეგვე **დამოკიდებული წევრი** (მსაზღვრელი), **რიცხობრივი შეპირობების თვალსაზრისით**, **იქცევა სინტაგმის მთავარ წევრად**, რამდენადაც **თავად მოითხოვს მთავრისგან** (საზღვრულისგან) მაინცდამაინც **მხოლოობითის ფორმას**.

აქედან გამომდინარე, ამ სახის მსაზღვრელებსა და სათანადო საზღვრულებს შორის მყარდება ერთგვარად გაწონასწორებული ურთიერთობა, რომლის დროსაც **მსაზღვრელსაც და საზღვრულსაც** თითქმის **ტოლფასოვანი იერარქიული სტატუსი უჩანთ** სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის (ბრუნვა, რიცხვი) ამა თუ იმ ფორმის გამოწვევის თვალსაზრისით.

ამ ფონზე საგულისხმოა, რომ სიმრავლის გამომხატველი მსაზღვრელებისა და მათთან მხოლოობითში შეწყობილი საზღვრული არსებითი სახელების ნორმატიულ ურთიერთობას აქამდე არ მისცემია რიცხვში (მხოლოობითში) შეპირობებისა და

შესაბამისი სინტაქსური ურთიერთობის, რიცხვში **შეთანხმების** ან თუნდაც **შეუთანხმებლობის** კვალიფიკაცია: ასეთად მხოლოდ **ბრუნვაში შეთანხმება** ითვლება (კვაჭაძე 1966: 17-8).

ეს ვითარება თვალნათლივ ჩანს მსგავსი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულთა ბრუნებისას:

შვიდ-ი	კაც-ი	ზოგ-ი	საკითხ-ი	მრავალ-ი	წერილ-ი
შვიდ-მა	კაც-მა	ზოგ-მა	საკითხ-მა	მრავალ-მა	წერილ-მა
შვიდ-თ	კაც-ს	ზოგ-თ	საკითხ-ს	მრავალ-თ	წერილ-ს
შვიდ-ი	კაც-ის	ზოგ-ი	საკითხ-ის	მრავალ-ი	წერილ-ის

და ა. შ.

მაშასადამე, ერთი მხრივ:

რიცხვითი მსაზღვრელი სინტაგმის დამოკიდებული წევრია, რაკი ეთანხმება ბრუნვაში საზღვრულს, როგორც სინტაგმის მთავარ წევრს, (ანუ დგას იმავე ბრუნვაში, რაც საზღვრული);

მეორე მხრივ: **რიცხვითი მსაზღვრელი სინტაგმის მთავარ წევრად გვევლინება, მოითხოვს რა საზღვრულისაგან მხოლოდობითი რიცხვის ფორმას¹.**

იერარქიულ სტატუსთა ამგვარი „დაბალანსება“ ერთგვარად მოგვეგონებს იმ სახის ურთიერთობას სახელსა და ზმნას შორის, რომელიც ქართულისათვის დაადგინა არნ. ჩიქობავამ კოორდინატთა იმანენტური სისტემის შემოღებისას (ჩიქობავა 1968: 231-4).

მაშასადამე, განსხვავებით სხვა სახის მსაზღვრელ სახელთაგან (ზედსართავი, ნაცვალსახელი, მიმღეობა, დანართი სახელი), რომლებიც სინტაგმის მხოლოდ **დამოკიდებული**, ბრუნვასა და **ნართანიან** მრავლობითში **შეთანხმებული** წევრია, კონკრეტული რაოდენობისა თუ ზოგადი სიმრავლის აღმნიშვნელი ნებისმიერი **მსაზღვრელი** სახელი ამავედროულად **თავადაც აპირობებს საზღვრულის** (არსებითი სახელის) **ფორმას**, რაკი **მოითხოვს** მისგან **ერთადერთ – მხოლოდობითის ფორმას**.

¹ ეს წესი მარტივად არის მოწოდებული დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში: მსაზღვრულად დასახელებულია კონკრეტული და ზოგადი სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები (რამიშვილი 1992: 27).

აქედან გამომდინარე, ყველა ზემოჩამოთვლილი რიცხვითი მსაზღვრელის ფორმაც (ამ შემთხვევაში – ბრუნვა) დამოკიდებულია თავისი საზღვრული არსებითი სახელის ფორმაზე, კერძოდ, ბრუნვაზე. ეს დამოკიდებულება სახელური სინტაგმის წევრებს შორის კვალიფიცირებულია **შეთანხმებად**, რომლის დროსაც **საზღვრული** (არსებითი სახელი) **შემთანხმებელია**, ხოლო **მსაზღვრელი** (მათ შორის არსებითიც) – **შეთანხმებული**¹. **რიცხვითი მსაზღვრელი** კი თავად ხდება მომდევნო სახელის ამა თუ იმ ფორმის განმსაზღვრელი. ეს შეპირობებულობა ამჯერად საზღვრული სახელის მხოლოობითი რიცხვის არჩევანს შეეხება.

თუ ანალოგიურ საკითხს **ინდოევროპულ ენათა** მიმართაც დავსვამთ, დავინახავთ, რომ ამ ოჯახის მრავალ ენაში ერთზე მეტის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელი საზღვრული არსებითისაგან მოითხოვს მრავლობითის ნიშნის დართვას, რიგ შემთხვევაში კი (მაგ., რუსულში) – ნათესაობითი ბრუნვის ფორმას – როგორც მხოლოობითში სამად-სამი (2, 3, 4) რიცხვების აღნიშვნისას, ისე მრავლობითში (5-დან ზევით) და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან. შდრ.: два друг-а და: пять/много друг-ей (მრავლობითში ფუძისეული თანხმოვანიც კი იცვლება!).

¹ ამ ტერმინებთან დაკავშირებით აქ ერთ დერივაციულ პარადოქსზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: სინტაგმის მთავარი წევრი (არსებითი სახელი) გადმოცემულია **საობიექტო** მიმღეობით (არნ. ჩიქობავას ტერმინოლოგიით), ანუ ვნებითი გვარის მიმღეობით (აკ. შანიძის ტერმინოლოგიით), მაშინ როცა დამოკიდებულ წევრს (რიცხვით მსაზღვრელს) გადმოსცემს **სასუბიექტო** მიმღეობა, ანუ მოქმედებითი გვარის მიმღეობა. მოსალოდნელი (ლოგიკური) კი იყო, რომ სიტყვა **მსაზღვრელიც** იმავე წარმოებისა ყოფილიყო, რაც **შეთანხმებული** და, მაშასადამე, **საზღვრულიც** **შეთანხმებულის** ანალოგად ყოფილიყო წარმოდგენილი. მაგრამ აღნიშნული ტერმინოლოგიური პარადოქსის გაგება (შესაბამისად, დაძლევა) შესაძლებელი გახდება, თუკი ამ ტერმინთა ფუნქციონირების სფეროდან ამოვალთ: ტერმინები **მსაზღვრელი** და **საზღვრული** სემანტიკური ნიშნის მიხედვითაა ნაწარმოები, ხოლო მათი სინტაქსური ურთიერთობის ამსახველი ფორმები – **შემთანხმებელი** და **შეთანხმებული** – სინტაქსური ნიშნის მიხედვით. მაშასადამე, აღნიშნული წინააღმდეგობაც თვალსაზრისთა სხვადასხვაობით აიხსნება.

ინგლისურში ერთზე მეტის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელის გავლენით საზღვრულის მრავლობითობის აღნიშვნა გაცილებით მარტივია: კონკრეტული (ორი თუ ათასი) და განუსაზღვრელი სიმრავლე (ბევრი თუ ცოტა, ზოგი თუ რამდენიმე...) ერთი და იმავე **-ს** ფორმანტით აღინიშნება. ზოგიერთ შემთხვევაში მცირე სხვაობას წმინდა ფონეტიკური ფაქტორი განსაზღვრავს (seven boy-**s**, many tree-**s**, შდრ: potato-**es**, dress-**es**, brush-**es**, match-**es**, box-**es**...). თითო-ოროლა გამონაკლისი **-(რ)ენ** დაბოლოებიანი (oxen, children – გერმანულის კვალი?) და ორიოდ სახელის უცვლელი სახით შენარჩუნება (sheep, fish...) საერთო სურათს არ ცვლის.

მაგრამ საკითხი რთულდება, როცა საქმეში ჩაერთვება გრამატიკული სქესის ნიშნებიც, – ცხადია, ამ გრამატიკული კატეგორიის მქონე ენებში (შდრ. რუსულში 2-დან 4-მდე რიცხვის აღნიშვნისას: две девочк-**и** და: два мальчик-**а**). მრავლობითი რიცხვის გამოხატვა და შეთანხმება არსებითთან რუსულში პრაქტიკულად ყველა სახის ატრიბუტულ მსაზღვრელს შეუძლია (эт-**и** книги, красивы-**е** женщины, бегущи-**е** дети, неки-**е** / некоторы-**е** критики, новы-**е** врем-**ена**)...

ერთზე მეტის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი მსაზღვრელების გამოყენებისას რუსულში ერთდროულად გვექნება **მსაზღვრელის მიერ საზღვრულის რიცხვში** (და რიც შემთხვევაში – **სქესშიც**) **შეთანხმებაც და ბრუნვაში მართვაც** (შდრ.: две книги და: десять / много книг, два товарища, десять / много товарищей).

დაახლოებით ამგვარივე სურათი გვაქვს სხვა ევროპულ ენებშიც.

როგორც ვხედავთ, ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის პრინციპული სხვაობაა კონკრეტული რიცხვებისა თუ განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთა სინტაგმატიკის თვალსაზრისით: **ქართულში** ეს მსაზღვრელები საზღვრულთაგან **მხოლოდობითი რიცხვის ფორმას მოითხოვს, ინდოევროპულ ენებში** კი ანალოგიურ მსაზღვრელთაგან შეპირობებულ ფორმებს საზღვრული **მრავლობითი გვიჩვენებს**.

მიუხედავად ამ **ფორმალური სხვაობისა** ქართულ და აღნიშნულ ინდოევროპულ ენებს შორის, **საერთოა** რიცხვითი სახე-

ლებისა და სიმრავლის გამოხატველ სხვა **მსაზღვრელთა სინტაქსური სტატუსი**, რომელსაც განსაზღვრავს მათი გავლენა საზღვრულთა მრავლობითობის გრამატიკულად აღნიშვნაზე.

ამდენად, თუმცა მსგავს მსაზღვრელთა ბრუნვის ფორმებს შეაპირობებს სათანადო საზღვრულები, ამ უკანასკნელთა რიცხვის ფორმები თავადაა მკაცრად შეპირობებული იმავე მსაზღვრელთაგან, რის გამოც შეიძლება მათი კვალიფიცირება **ორმხრივ სინტაქსურ ურთიერთობებად**.

2. ზმნური სინტაგმები

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის საკითხს ქართულში უშუალოდ უკავშირდება **სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების** საკითხი.

ასეთი მსაზღვრელების შესახებ **ლ. კვაჭაძე** წერს: „რაოდენობითი რიცხვითი სახელი... ერთგვარ საგანთა სიმრავლეს (რაოდენობას) ზუსტად გამოხატავს; იგი არსებითთან ერთად ქმნის გრამატიკული მრავლობითის შემცველ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც ერთ განუყოფელ ერთეულად (ერთ წევრად) უნდა იქნეს გაგებული... მაგ., როცა ვამბობთ „ათი ბავშვი ეზოში ბურთს თამაშობს“, ვერ ვიტყვით, რომ მოქმედია ბ ა ვ შ ვ ი. ამ შემთხვევაში მოქმედია არა ბ ა ვ შ ვ ი, რომელიც ერთს გულისხმობს, არამედ ა თ ი ბ ა ვ შ ვ ი (= ბავშვები)“ (კვაჭაძე 1993: 173).

ტრადიციულად ზმნური სინტაგმების წევრებს შორის ორმხრივი ურთიერთობა დასტურდება, რომელსაც ასეთი კვალიფიკაცია ეძლევა: **სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში და მართავს ზმნას პირში, ზმნა კი მართავს სახელს ბრუნვაში**. არნ. ჩიქობავასეული კოორდინატების სისტემა, რომელიც გვიჩვენებს სინტაქსურ ურთიერთობათა ერთიან სურათს, წარმოადგენს როგორც **ცალმხრივ**, ისე **ორმხრივ** სინტაქსურ დამოკიდებულებათა სურათს (ჩიქობავა 1968: 233-4)¹.

¹ ეს სისტემა მნიშვნელოვანი დეტალებით განავრცო და გააღრმავა **დ. მელიქიშვილმა** თავის მონოგრაფიაში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“, თბ., ლოგოს-პრესი, 2001.

ა) მრავლობითში დასმულ აქტანტებთან (სუბიექტ-ობიექტებთან) ზმნის შეთანხმების ზოგადი პრინციპები. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების ძირითადი წესები მეტ-ნაკლებად გარკვეულია (და სინტაქსის სახელმძღვანელოებში არის შეტანილი):

1. მრავლობითში დასმულ, სუბიექტად გამოყენებულ სულიერ სახელებთან ზმნაც მრავლობითშია, ე. ი. ზმნა ეთანხმება სახელს: **კაცი მიდის – კაცები / კაცი მიდის, ძალი ყეფს – ძაღლები ყეფენ**. ასევე მრავლობითშია ზმნა სუბიექტებად გამოყენებულ ერთგვაროვან სულიერ სახელებთან (**გოგო და ბიჭი კინოში მიდიან**).

2. უსულო სახელთა მრავლობითი რიცხვის **-ებ** სუფიქსიან ფორმებთან ზმნა, ჩვეულებრივ, მხოლოდობითშია (**სახლები / მაგიდები დგას, მაგიდებს დიდი უჯრები აქვს**); თუ ასეთ სახელებს სათანადო პირის ნაცვალსახელი (**ისინი / მათ**) ენაცვლება, მაშინ ზმნა ეთანხმება სახელს რიცხვში (**ისინი დგანან; მათ...უჯრები აქვთ**). ამავე წესს მისდევს (ე. ი. მრავლობითში დგება) **-ნართანი**ან მრავლობითში დასმულ სახელებთან (როგორც სულიერთან, ისე უსულოსთან) შეწყობილი ზმნები.

3. კრებით სახელებთან შეწყობისას ზმნა მხოლოდობითში დგას: **სტუდენტობა /ახალგაზრდობა მხიარულობს** (შდრ.: **სტუდენტები /ახალგაზრდები მხიარულობენ**), ისევე როგორც კომპოზიტში შეწყვილებული სულიერი სახელები (**ცოლ-ქმარი** ტკბილად **ცხოვრობდა** (შდრ. ეს ზმნა და კავშირით ან მძიმეებით დაკავშირებულ ერთგვაროვან სახელებთან: **ცოლი და ქმარი** ტკბილად **ცხოვრობდნენ**).

არც ერთ აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში ორაზროვნება არა გვაქვს. მერყეობაა ძირითადად **-ებ**-იან მრავლობითში უსულო სახელთან ზმნის შეწყობისას: ზმნა ხან მხოლოდობითშია, ხან კი – მრავლობითში, და ამ შემთხვევებში მხოლოდ ზოგად ტენდენციებზე შეიძლება მსჯელობა.

აღნიშნული ტიპის სახელებთან მხოლოდობითი თუ მრავლობითი რიცხვის ფორმის სასარგებლოდ საკითხს წყვეტს ესა თუ ის კონკრეტული სემანტიკური ან გრამატიკული ფაქტორი, კერძოდ, მრავლობითობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი წინაპირობაა მოძრაობის ან აქტიური, ენერგიული

მოქმედების სემანტიკა (მაგ., მოლეკულ-ებ-ი ქაოსურად მოძრაობენ და ეჯახები-ან ერთმანეთს...).

გარკვეულ როლს ასრულებს ზმნის ზოგი გრამატიკული კატეგორიაც (გარდამავლობა, გვარი, კაუზატივი...). მაგ., სტატიკურობის სემანტიკის, მდგომარეობის, ყოფნა-არსებობისა და მისთ. აღმნიშვნელ ზმნებთან მხოლოობითის ფორმის ალბათობა მატულობს (მაგ.: **არსებობს** ამგვარი თეორიებიც; ირგვლივ სიჩუმე და წყვიდადი **სუფევს**...). ამავე რიგში დგას გამოკვლევათა რეზიუმეთეზისებში კვლევის შედეგების აღმნიშვნელი მიმღებობებისა და **ყოფნა** ზმნით გამოხატულ შედეგნილ შემასმენელთა მხოლოობითი რიცხვის ფორმები (**განხილულია / გამოკვლეულია / შესწავლილია საკითხები; მიღებულია / შეჯამებულია... შედეგები**).

რაც შეეხება ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებს, მათს მომრავლებაში თავისი „წვლილი შეაქვს“ თანამედროვე **სამეცნიერო ლიტერატურას**, რომელიც ხშირ შემთხვევაში თარგმნილია ევროპული ენებიდან (საბჭოურ ხანაში სკოლის სახელმძღვანელოებიც კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ითარგმნებოდა რუსულიდან); ამ ენებში კი სუბიექტად გამოყენებული სახელების მრავლობითის ფორმები, როგორც წესი, ზმნასაც ითანხმებს რიცხვში.

ესეც არ იყოს, თვით ორიგინალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც სპეციალური ტერმინები, როგორც სიხშირის გამო უფრო აქტიური სიტყვები ხმარების, მრავლობითი გამოყენებისას ერთგვარად უტოლდება სულიერთა სახელებს და ზმნებსაც ითანხმებს მრავლობითში. საამისო მაგალითები საკმაოდ უხვად მოიპოვება სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში და, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების ტენდენცია მყარია.

ბ) „სუბლექტური“ (ფუმემონაცვლე) ზმნები და მათი ხმარების სპეციფიკა.

რამდენადმე განკერძოებით დგას ე.წ. „სუბლექტური“, ანუ რიცხვმონაცვლე ზმნების ფუნქციონირების საკითხი: აქ **ფორმალური** შეთანხმების წესებში იჭრება **აზრობრივი** შეთანხმების საკითხი, რაც ართულებს ერთმნიშვნელოვანი წესების ჩამოყალიბებას და მათს დაცვასაც.

ეს ზმნები, რომელთა რიცხვიც ერთ ათეულს არ აღემატება, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. მათ შეუძლიათ სუბიექტისა თუ ობიექტის (მხოლოდ პირდაპირი ობიექტის!) სიმრავლე ორგვარად გამოხატონ – ოდენ ფუძითაც, ე. ი. მრავლობითი რიცხვის სპეციალური ფორმანტების დაურთველად, და ორმაგადაც: როგორც ფუძით, ისე მრავლობითის სუფიქსთა დართვითაც. ეს უკანასკნელი ხერხი არცთუ იშვიათია საერთოდ ენაში და კერძოდ – ქართულშიც.

სუპლექტური ზმნების საკითხი ძველ ქართულში სპეციალურად და დეტალურად გამოიკვლია ივ. ქავთარაძემ (ქავთარაძე 1946: 141-167). ძველი ტექსტებიდან მოხმობილ ნიმუშებში მწყობრად არის გატარებული სუპლექტური ზმნების ხმარების პრინციპი: ან სახელები შეეწყობა **-ნ/-თ**-იან მრავლობითში, ან ზმნათა ხმარება კრებითი სახელებითაა მოტივირებული.

ავ. შანიძე რიცხვის ცნებაზე მსჯელობისას განარჩევს **გრამატიკულ** რიცხვს **არითმეტიკულისაგან** და რიცხვს უწოდებს სახელის ან ზმნის „საპირისპირო ფორმათა თანაარსებობის ნიადაგზე შემუშავებულ კატეგორიას“. გრამატიკული რიცხვი „გულისხმობს მარტოდენ ერთს ან ერთზე მეტს“ (შანიძე 1973: 47); ავტორი მსჯელობს აგრეთვე ორობით რიცხვზე, რომელიც არსებობდა ძველ ქართულში და რელიქტის სახით შემორჩა ხევსურულ კილოს (იქვე).

მართალია, ავ. შანიძე გამოკვეთილად ამა თუ იმ თვალსაზრისს არ ახსენებს, მაგრამ იმ ირიბი ნიშნებით, რომლებიც მას მოჰყავს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისათვის, ჩანს მისი მიდრეკილება **ერთისა და ზევრის დაპირისპირების**¹ სასარგებლოდ. ამასთანავე, მეცნიერი გამოყოფს „ურიცხო“ სახე-

¹ ამაზე მეტყველებს მისი მთელი რიგი ფრაზები: „ჯდომა (ერთისა) // სხდომა (მრავლისა) (გვ. 501). „ყრა“ ითქმის არა მარტო **მრავალ საგანზე**, არამედ ერთზედაც, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება: ფქვილი, ხორბალი...“ (გვ. 502); „**ერთზე**“ მობმა ითქმის, **ზევრზე** – „მოსხმა“ (გვ. 503); აგრეთვე ზოგი მხოლოდობითის ფორმის (მაგ., **ფოთლის, ზალნის, ფეტვის, ცრემლის**...) კრებით სახელებად მოხსენიება და ამით გამართლება შეხამებული სუპლექტური ზმნის ხმარებისა (502-3); თავს დაეცა (**ერთი**), თავს დაესხნენ (**მრავალნი**); ხორცს მატლი დასხმოდა („მატლი“ ამ შემთხვევაში კრებითი სახელია“) (იქვე: 504).

ლებს და მათ მიაკუთვნებს ადამიანის საკუთარ სახელებს, აბსტრაქტულ და ნივთიერებათა სახელებს (შანიძე 1973: 50), რომელთაც სხვა არაფერი აერთიანებს, თუ არა **დაუთვლელიობა**. საგულისხმო ნიშანია: სუპლექტური ზმნები აკი სწორედ კრებით და ნივთიერებათა სახელებს უკავშირდება ყველაზე ხშირად!

მაგრამ სუპლექტური ზმნების ამგვარი, ასე ვთქვათ, „თანდაყოლილი“ მრავლობითობის შინაარსი, მეცნიერებს შორის წარმოშობს სადავო საკითხებსაც, რომელთა ბირთვისაც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ამ ზმნების გამოსახატავი სიმრავლის სხვადასხვაგვარი გაგება. კერძოდ, ერთი წყების მიერ ოპოზიციის ღერძად მიჩნეულია დაპირისპირება, ერთი მხრივ, **ერთსა და ერთზე მეტს** შორის (**ერთი vs. ერთზე მეტი**), ხოლო მეორე მხრივ, **ერთსა და მრავალს** შორის (**ერთი vs. მრავალი**).

ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წერილი, რომელიც სპეციალურად ზმნის სუპლექტივიზმის საკითხებს და, კერძოდ, რიცხვმონაცვლე ზმნებს ეხება, ზემოხსენებული პირველი თვალსაზრისის (**ერთი vs. ერთზე მეტი**) დამცველია (არაბული 2008: 21-27). ამას მოწმობს როგორც აღნიშნული სტატიის მთელი პათოსი და მიზანდასახულობა, ისე საამისოდ სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ძველი ქართულიდან მოხმობილი ნიმუშებიც (რომელთა ნაკლებობას არც აქამდე განიცდიდა ჩვენი ძველი ლიტერატურული წყაროები თუ მათი შემსწავლელი მეცნიერება), ასევე ზოგი ახალი მასალა თანამედროვე „ჭრელი“ და „ცოცხალი“ წყაროებიდან.

წინამდებარე სტატია უფრო მეორე თვალსაზრისისაკენ (**ერთი vs. მრავალი**) იხრება, თუმცა ეს თვალსაზრისი იმთავითვე ასე მყარად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ გვქონია¹.

¹ უკანასკნელი წლების განმავლობაში საუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას, რაც არამონათესავე ენათა ტიპოლოგიურ კვლევასაც ითვალისწინებდა, დაისვა რიცხვით მსაზღვრელთა სინტაგმატიკისა და მათი სინტაქსური სტატუსის საკითხი. ამ პრობლემას ავტორის ორი სპეციალური მოხსენება მიემდვნა. ეს სტატია ორსავე საკითხს ეხება. სათანადო მასალის გაღრმავებულმა შესწავლამ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა მეორე თვალსაზრისი.

თავისებური ზმნების განხილვისას აკ. შანიძე ვრცლად ეხება სუპლეტურ ზმნებს (შანიძე 1973: 500-505) და გზადაგზა ავლენს ამ ზმნების გამოსახატავი სიმრავლის მასაზრდოებელ მექანიზმებს, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადია ამ ზმნებთან კრებით სახელთა შეხამების ძლიერი უნარი, რომელიც მიჯნავს მათ სხვა, ოდენგრამატიკული მრავლობითის წარმოების ზმნებისაგან.

ცხადია, ხსენებულ ამ დაპირისპირებებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს, რადგან წმინდა **მექანიკურ-რაოდენობრივი** თვალსაზრისით პირველი დაპირისპირება თავისთავში მოიცავს მეორეს (და, მაშასადამე, მათ შორის ისეთივე შეფარდება გამოდის, როგორც არსებობს მთელსა და მის ნაწილს შორის). მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ამ ორ დაპირისპირებას შორის არსებული **თვისებრივი** სხვაობა, რასაც სიმრავლის ცნებაც და მისი მომცველი დაპირისპირებაც სხვა განზომილებაში გადაჰყავს.

განვიხილოთ სალექსიკონო მონაცემები:

პირველი სისტემატური აზრის შესაქმნელად, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორ განმარტავენ მათ მთავარი **ლექსიკოგრაფიული წყაროები**. პოლისემიის შემთხვევაში მოგვყავს სიტყვის მხოლოდ ის სემანტიკა, რომელიც ქმნის ოპოზიციას. ეკონომიისათვის ნიმუშებად დავასახელებთ თითო პარადიგმას. სიმრავლის გამომხატველი ხაზგასასმელი სიტყვა გამუქებულია):

1. **საზას ლექსიკონში** („ლექსიკონი ქართული“, 1884) ლექსიკურ ერთეულთა ერთი (I) წყების განმარტებებში მონაწილეობს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები (**მრავალთ, მრავლად**), მეორე (II) წყების განმარტებებში კი მხოლოდ სხვადასხვა ზმნით ზოგადად მინიშნებულია სუბიექტ-ობიექტის სიმრავლე. შდრ.:

I **წყება: მოსხმა** – ცხოველთ მოყვანა, გინა მრავლად ხილის მობმა.

სხდომა – მრავალთ ჯდომა

ყრა – უპატიურათ მრავალთა დება

შეხოცა – მრავალთ შეკვდომა

II **წყება: დამსხვრეული** – დამუსრვილი

დამტვრეული – დაწვრილებული

დაკოცა – მოწყუედა

მოწყუედა – დახოცა

(საგულისხმოა, რომ ბოლო ორი სინონიმი (**დაჯოცა**, **მოწყუ-
ედა**) ერთმანეთის მეშვეობითაა განმარტებული).

გვხვდება კიდევ რამდენიმე ზმნა, რომლებიც განიმარტება განსხვავებული ფუძეების შემცველი სინონიმური ზმნებით: „**და-
ყარა** – **დაასხა**-სა-ვით, გინა ზედ დააბნივა“.

მოკრეფა – ხილთ მოსთველება

სხდა – იჯდენ

სათანადო გვერდის სქოლიოში ლექსიკონის მითითებული გამოცემის პირველი რედაქტორი რაფ. ერისთავი დასძენს: „**და-
სხმად** ითქმის კიდენ მცენარეთაგან ფოთლისა, გინა ნაყოფის მო-
ბმა, გინა ცხოველს რომ მუწუკები მოებას, ან ფარდახტი შეაყა-
როს“.

ამჟამად, რომ ამ კონტექსტში სიტყვები **ფოთოლი**, **ნაყოფი** კრებითი სახელების გაგებითაა გამოყენებული; რაც უფრო მნიშ-
ვნელოვანია, განმარტებაში წარმოდგენილი მასდარების ოპოზი-
ცია (**მოზმა**, **დასხმა**) დღესაც აქტუალურია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში (1950-64) სიმრავლის აღმნიშვნელ ფუძეთა შემცველი სუპლეტური ზმნები უმთავრესად განიმარტება მხოლოობითის ფორმით და მათ, როგორც წესი, ერთვის სიტყვები **ზევრი** ან **მრავალი**.

ნიმუშებად წარმოვადგენთ როგორც ოპოზიციურ სუპლე-
ტურ პირიან ზმნებს გარდამავალი და გარდაუვალი პარადიგმე-
ბითურთ, ისე სათანადო სახელზმნებს:

1. **-ბ(ამ)- /-სხ-ამ-** (მრ. რ.) ფუძეების შემცველი ზმნური ფორმები:

აბი-ა – მობმული აქვს ნაყოფი (მრ. **ასხია**).

ასხი-ა – ბევრი აბია: ამ ტოტს ერთი ვაშლილა აბია. კაცს ორი ფეხი აბიაო.

ტყემ მოისხა ფოთოლი (= ფოთლები) (ილია). ფოთოლი არ შერჩენია, ნაყოფი კი ისევ ისე ასხიაო (ნ. შატაძე).

2. **-გდ-ებ/-ყრ-ი** (მრ. რ.) ფუძეების შემცველი ზმნური ფორ-
მები:

აგდია 1. ითქმის ერთზე; **ყრია** ბევრი.

ამოიყრებ-ა – ამოვა, გაიზრდება ბევრი (მცენარე).

აყრი-ს – 1. აისვრის, ააგდებს (მრავალ რასმე). 2. დამრავს თავისი ადგილსამყოფლიდან (მრავალს). შაჰ-აბაჰმა კახეთის ბევრი სოფელი აყარა... აყარა ხალხი, გადაასახლა (ილია).

აყრილ-ი – ზევით აგდებული (მრავალი რამ).

სხვადასხვა ზმნისწინის დართვა ამ ოპოზიციებს არ ცვლის. მაგ.:

გადაყრა – 1. მრავლის გადაგდება, – გადაბნევა. **გადაყრი-ს** – მრავალს გადააგდებს, – გადააბნევს.

გადმოყრი-ს – მრავალს გადმოისვრის, – გადმოაბნევს (ობიექტს მხოლოდობითში ენაცვლება **გადმოაგდებს**): დორბლებს გადმოყრის, კბილებს გადმოყრის.

მიყრი-ს – იქით ისვრის, მიაგდებს ბევრს.

მოყრი-ს – მოიყვანს ბევრს: [ავდარს] საწვერის გორში მოეყარა ირმის ხრო (ვაჟა).

შეაყრი-ს – შეაფანტავს, შეაბნევს, მიაყრის.

...ფქვილი... შეაყარეს თვალებში ავაზაკს (ვაჟა). ქარმა... თოვლი და ხეებიდან ჩამონადენი ბარდანი შეაყარა ყურებში (თ. რა-ზიკ.).

ჩაყრა – 1. ჩაგდება (ბევრისა), ჩაბნევა.

ჩაყრილ-ი – 1. რაც ჩაყარეს ან ჩაიყარა, – ჩაგდებული **ბევრი** [მან] ამოიღო ჯიბეში ჩაყრილი თუთუნი (ს. კლდ.).

3. **-დ(ებ)- /აწყ(ობ)** ძირის შემცველი ზმნური ფორმები:

დადება / დაწყობა – 1. მოწესრიგებულად დადება ან დადგმა ბევრისა. შეშის დაწყობა. აგურის დაწყობა.

დააწყობ-ს – დადებს, დადგამს მრავალს.

დააწყობილი – დადებული, დადგმული (მრავალი რამ)

4. **-ვარდ- /-ცვ-** (მრ. რ.) ძირების შემცველი ზმნური ფორმები:

ამოცვენილ-ი – ვინც ამოცვივდა (ითქმის ბევრზე).

კიბეზე ამოცვენილი ბავშვების ჟრიაშული.

ამოცვივ-ა, ამოცვივდებ-ა – ამოვარდება მრავალი, – ამოიყრება, ამოიფანტება, ამოიბნევა.

[იატაკის] აგურები შიგადაშიგ ამოცვივნულა (ილია).

აცვენილ-ი – ვინც ან რაც (მრავალი) მაღლა აცვივდა.

სკოლის აივანზე... ჟივილ-ხივილით აცვენილი ბავშვები.
აფვიფებ-ა–1. ავარდება მრავალი რამ, – აიყრება, აიფანტება.

...ნაცარი გაიფანტა, ნაპერწკლები აცვიფდა (ა. ყაზბეგი).

2. აირბენს, ავარდება, აიჭრება (მრავალი).

გოგოები წივილ-კივილით სოფელში აცვიფდნენ (ეკ. გაბაშვილი).

გააცვენ-ს – **მრავალს** გააშორებს, მოაცლის, გააცლის, გააყრევინებს. თმას გააცვენს.

გადაციფვებ-ა – გადაიყრება, გადავარდება (მრავალი).

კათხა და ჯამი ძირს გადაციფვდა. (შ. დადიანი).

გაცვენილ-ი – გადაყრილი, გადავარდნილი (მრავალი).

დაციფვ(ებ)-ა – 1. დავარდება, ჩამოვარდება ბევრი, – დაიყრება.

ვაშლები დაციფვდა მიწაზე.

მიციფვებ-ა – ერთბაშად მივა, მივარდება ბევრი.

მოციფვებ-ა – ერთბაშად მოვა, მოვარდება ბევრი.

სწრაფად მოციფვდნენ მერცხლები (ი. გოგებ.)

შემოუციფვებ-ა – (მხოლოდობითის ფორმით, ჩვეულებრივ, კრებითი და რიცხვითი სახელებით განსაზღვრულ სუბიექტთან იხმარება, მრავლობითის ფორმით – მრავლობითში დასმულ სუბიექტთან) შემოციფვდება მასთან, – შემოუვარდება, შემოეჭრება (**ბევრი**). [**მგლები**] ლამის ქოხებშიაც **შემოციფვიფდნენ** (თ. რაზვი.).

5. **-კალ-**, **-კვდ-** /**-ხოც** (მრ.) ძირების შემცველი ზმნური ფორმები:

დახოცავ-ს – მოკლავს, დაკლავს ბევრს, – გაწყვეტს, გაჟლეტს.

დავხოცე ბევრი ნადირი (ხალხური).

შეახოცავ-ს – შეაკლავს (**მრავალს**).

დიდძალი ხალხი შეახოცა ულუ ყენიმა [ბაღდადის] ციხეს... (ვ. ბარნოვი).

ხოცავ-ს – 1. კლავს **ბევრს**: **საკლავებსა ხოცავდნენ**... და საქმლის თადარიგში იყენენ (ა. ყაზბეგი). 2. ძალიან სცემს, სიკვდი-

ლის პირას მიჰყავს. [ზედამხედველი] მათრახითა **ხოცავდა საწყლებს** [პატიმრებს] (ივ. მაჭავარიანი. თარგმანი).

ხოცვა – 1. **ბევრის** კვლა: **საკლავების ხოცვა** დაიწყო (ვაჟა).

შეეხოცებ-ა – შეაკვდება, ემსხვერპლება (**მრავალი**). ანდა ხმალი ვკრათ, ისევ წავკეცოთ საომრად კალთა, ან **შეეხოცნეთ**, ან **დავიხოცნეთ!** (გ. ლეონიძე).

კვლა/სიკვდილის სემანტიკური ველის ზმნებიდან **ამო-** ზმნისწინთან მხოლოდ მრავლობითობის მიმანიშნებელი ფუძეების (**-წყდ-**, **-წყვეტ-**, **ჟღებ-**, **-ხოც-**) შემცველი სინონიმური ზმნები გვხვდება, რომლებიც ერთმანეთის საშუალებით განიმარტება:

ამოწყდება – ერთიანად გაწყდება, – დაიხოცება, მოისპობა.

ძველი საგვარეულო... სრულებით ამოწყდა (ივ. ჯავახიშვილი).

ამოწყვეტ-ს – ამოხოცავს, ამოჟღეტს, მოსპობს.

ამოხოცავს – სულ ერთიანად დახოცავს, – ამოჟღეტს, ამოწყვეტს.

დაახოცვინებ-ს – აიძულებს ან დაავალებს დახოცოს, მოაკვლევინებს ბევრს.

ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცვინა, რაც... მამლები და ყვინჩილები ჰყავდა (ნ. ლომოური).

6. -სვამ / -სხამ (მრ. რ.) ძირის შემცველი ზმნური ფორმები:

ამოსხმა – ამოსმა, ამოყვანა (მრავლისა): **ამოსხამ**-ს – ამოსვამს, ამოიყვანს მრავალს;

...კოდალები ბუდიდან ამოსხა დედამ (თ. რაზიკაშვილი).
მონადირემ... იქიდან ბარტყების ამოსხმა მოინდომა (ი. გოგებაშვილი);

გასხამ-ს – გაიყვანს, წაიყვანს (ბევრს).

გადმოსხამ-ს – გადმოიყვანს, გადმოსვამს (მრავალს).

დასხამ-ს – მხოლოდობით რიცხვში დასმულ ობიექტთან ენაცვლება.

დასვამს. დასვამს ბევრს.

შუაკაცები... დასხა უბრალო ფიცრის ტახტზე (ა. ყაზბეგი).
მასპინძელმა დასხა სტუმრები (შ. დადიანი).

მოასხამ-ს – 2. ერთად მოიყვანს (ბევრს), – მორეკავს. ცხენები მოასხეს

შესხამ-ს... (მხოლოდით რიცხვში დასმულ ობიექტთან ენაცვლება შესვამს) ზევით დასვამს (ბევრს), – დასხამს (რამეზე).

სახლის პატრონთ ...**ბავშვები** ფქვილის გოდრებზე შეესხათ (ნ. ლომოური).

შემოსხამ-ს – შემოიყვანს (ბევრს), – შემორეკავს.

წასხამ-ს – წაიყვანს **ბევრს**, – წარეკავს, წალალავს. წითელ მთაზე არ წასხა [ცხვარი] (ზღაპარი).

7. **-ტებ-** / **-მტვრ(ევ)**- ფუძის შემცველი ზმნური ფორმები:

მტვრევ-ს – ძალის მიყენებით მთელს ნამტვრევებად აქცევს, **გატებს** (**ბევრს** ან ბევრ ნაწილად):

კაკალი დაამტვრიეთ და... ლებნები გამოარჩიეთ (ბ. ჯორჯაძე).

თავ-პირს (ცხვირ-პირს...ყბებს) დაამტვრევს – დაუზოგავად სცემს.

თავზე კაკალს დაამტვრევს – გადატ.: ...შავ დღეს დააყენებს.

შეამტვრევ-ს – გატებს გარედან, – შეამსხვრევს, შელეწავს, შეტეხს: შეამტვრიეს კარები, ხედავენ: მედუქნეს ხელები მაღლა აუწევია (ს.შანშიაშვილი).

შემომამტვრევ-ს – 3. მოამტვრევს. მოსტეხავს.

[გოგოს] უნდა **შემოვამტვრიო ფეხები**, რომ აქეთ აღარ გაიწაწანოს (ი. გულისაშვილი). **ყბებს შემომამტვრევს** – მაგრად სცემს (ყბებში).

ნეტამც ვნახევდე, ცემითა **შემოვამტვრიო ყბებია!** (დ. გურამიშვილი). გუშინ ხაბაზს [ბატონმა] სულ **ყბები შემომამტვრია** (ს. მგალობლიშვილი).

შემტვრევა – მტვრევა გარედან; შემსხვრევა, შელეწვა. **კარების შემტვრევა**. **შემტვრეულ**-ი – რაც შეამტვრიეს ან შეიმტვრა, – შემსხვრეული; შელეწილი, შეტეხილი. სახლს ვერსად ნახავდით, რომ **კარი და ფანჯარა შემტვრეული** არა ჰქონოდა (ი. მაჭავარიანი – თარგმანი).

8. **-ჯ[ე]დ-** / **-სხ[ე]დ-** ძირის შემცველი ზმნური ფორმები:

ამოსხდომა – ამოჯდომა: **ამოსხდებ-ა** – ამოვა და დაჯდება ბევრი. ამოჯდომა მრავლისა. გვერდში ამოსხდომა.

ნაშუადღევს ღრუბლები ამოსხდებიან მთებიდან (რ. ინანიშვილი).

ასხდებ-ა – 1. რასმე აჯდება მრავალი. **ასხედ-ს** [უპირატესად მრავლობითის ფორმით – **ასხედან**], აზის მრავალი.

ბაურა, პეპელა – ათასობით მოდიოდნენ და **ასხდებოდნენ** იას (თ. რაზიკაშვილი).

რა ბუზები მასხედს ესა?! (ხალხური). მხრებზე გასხედან კვირიონები (გ. გეგეჭკ.)

გადმოსხდომა – გადმოჯდომა მრავლისა: **გადმოსხდებ-ა** – ჩვეულებრივ, მრავლობითში (მხ. რიცხვში ენაცვლება **გადმოჯდება**):

ჯარები გადმოსხდნენ.

დასხდომა – 1. დაჯდომა ბევრისა. 2. საცხოვრებლად დადგომა, დასახლება ბევრისა: **დასხდებ-ა** – იხმარება მრავლობითში დასმულ ან კრებითი სახელით გამოხატულ სუბიექტთან, მხოლოობითში დასმულ სუბიექტთან კი ენაცვლება **დაჯდება**.

ხალხი დასხდა ვაშმად (ა. ყაზბ.). დეპუტატნი თავ-თავის ადგილას დასხდნენ (ილია).

მოასხდებ-ა – მოაჯდება ბევრი. ორივენი მოასხდნენ ცხენებს (ნ. ლომოური).

შეასხდებ-ა (ჩვეულებრივ, მხოლოობითის ფორმით იხმარება ისეთ სუბიექტთან, რომელიც გამოხატულია (ან განსაზღვრულია) კრებითი ან რიცხვითი სახელით, მრავლობითის ფორმით კი – მრავლობითში დასმულ სუბიექტთან) შეჯდება მრავალი.

შემოსხდომა – 1. რისამე გარშემო დაჯდომა ბევრისა, რისამე ირგვლივ მოსხდომა. 2. ზევით (აქეთ) დაჯდომა ბევრისა.

შემოსხდებ-ა – (ჩვეულებრივ, მხოლოობითის ფორმით იხმარება ისეთ სუბიექტთან, რომელიც გამოხატულია ან განსაზღვრულია კრებითი ან რიცხვითი სახელით, მრავლობითის ფორმით კი – მრავლობითში დასმულ სუბიექტთან) ქვევიდან ზევით ამოვა და დაჯდება ბევრი, ზედ დასხდება. შევახტი მაშინვე ზედ, შემოსხდნენ სხვებიც (თ. რაზიკაშვილი). თალარზე მტრე-

დები შემომსხდარიყვნენ (ვ. ბარნოვი). გონს მოვიდნენ, ზე შემოსხდნენ სპილოთა (ანა კალანდაძე).

შემოუსხდებ-ა (ჩვეულებრივ, მხოლოობითის ფორმით იხმარება ისეთ სუბიექტთან, რომელიც გამოხატულია ან განსაზღვრულია კრებითი ან რიცხვითი სახელით, მრავლობითის ფორმით კი – მრავლობითში დასმულ სუბიექტთან) რისამე (ვისიმე) გარშემო, ირგვლივ დასხდება. ყველანი ხონჩას გარს შემოუსხდნენ (ა. ყაზბეგი). ოც კაცზე მეტი მიწაზე გაშლილ სუფრას შემოუსხდა (ს. შანშიაშვილი).

შემომსხდარ-ი – ვინც (რაც) შემოსხდა, – რისამე გარშემო დამსხდარი. იუთარმა ჩამოურიგა კერის გარს შემომსხდართ ჩაით სავსე ჭიქები (შ. არაგვიპირელი). მესამედ სურათი წარმოადგენდა სუფრაზე შემომსხდარ საზოგადოებას (ნ. ლორთქიფანიძე). კოცონებთან შემომსხდარი ახალგაზრდობა მხიარულად ჟრიაბულობდა (მიხ. მრეველიშვილი).

შესასხდომ-ი – რაზედაც უნდა შესხდნენ, – დასაჯდომი (ბევრისა).

თარგმნითი ლექსიკონები დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი

გასხმა – вывести войско... изгнать неприятеля из границ..., вывод, изгнание. გავსვამ **მრავალთა**, высадить. (ობიექტებად დასახელებულია კრებითი სახელი ან ასეთად გაგებული საზოგადო სახელი).

დასხდომა – садиться на; დაასხდიან ბუზნი мухи садились, налетали на... დავჯდები **მრავალათვის**...

დასხმა – დავაჯდენ **მრავალთა** сажать многих... დასხნეს კანონნი постановили правила... დასხნა შეშისა Положить дрова... დაგვსხა он посадил нас...

დაისხა ხილი принес плоды (о дереве).

სხდომა – сидение... იხმარების მხოლოდ **მრავლობითად**... უსხედს ლალი (კრებითი მნიშვნელობით. შ. ა.) осыпан рублином...

ყრა – ყრა ლაშქართა сноп войска... გავაგდებ **მრავალთა**, гавреж...

შემოსხმა – შემოვიყვან **მრავალთ...** ჯოგი წინა შემოისხეს погнали стадо впереди себя, ამ სუპლექტური ზმნების სუბიექტობიექტები ან კრებითი სახელებია, ანდა საზოგადო სახელები მრავლობითში.

ქეთევან დათიკაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი

მისხდომა – садиться, усесться: მეგობრები კუთხეში მისხდნენ пприятели уселись в углу... (საჭმელად, რამის გასაკეთებლად): მაგიდას მიუხდნენ они сели (уселись) за стол.

მისხმა – (საქონლისა: მილაღვა); ბავშვები დედას მიუსხა посадила (усадила) детей возле матери.

მოსხმა – ... ბ. (ფოთლისა) покрываться (листвой); ... გ. (ხილისა) ვაშლმა ნაყოფი მოისხა яблоня принесла плоды...; (**მრავლად** მიტანა, მომარაგება): снабжать в изобилии; (**მრავლის** მირთმევა) საჩუქრები მიაყარეს его осыпали подарками...

მიყრა – забросать, закидать, засыпать: ნაგავს ფოთლები მიაყარა засыпал сор листьями; მას ყვავილები მიაყარეს его забросали цветами...

მოყრა – მარილის მოყრა посыпать солью, посолить...; (თოვლისა და სხვ.); нанести...(ხალხისა: **მრავლად** მოყვანა)... თავის მოყრა (მოგროვება, შეგროვება) собирать, сосредоточить...

მოცვივნა – (მოცვივდნენ) примчаться, прибежать; прискакать (მხედრებისა); опасть, осыпаться с чг.-н. ხეებს ფოთოლი (კრებითი მნიშვნელობით. შ. ა.) მოცვივდა листья опали (осыпались) с деревьев...

როგორც ვხედავთ, ამ ლექსიკონშიც თითქმის ანალოგიური ვითარებაა. ოღონდ მასალას შეიძლება დავამატოს ნივთიერებათა სახელები (თოვლი, მარილი...), რომლებიც დაუთვლელობით ემსგავსებიან კრებით სახელებს და შეეხამებიან სათანადო სემანტიკის მქონე ზმნებს (მიყრა, მოყრა, მოხნევა, ცვენა და ა. შ.).

დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის ორტომეული ზედმიწევნით მიჰყვება განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულს, რის გამოც სუპლექტური ზმნების დახასიათების თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი გადახრა არ შეინიშნება. ამ ტიპის

ზმნებთან სუბიექტისა და ობიექტის მრავლობითობა მუდამ აღინიშნება შესაბამისად *plu S* და *plu O* შემოკლებებით როგორც ზმნებში, ისე მათგან ნაწარმოებ სახელზმნებშიც (მასდარსა და მიმღებობებში). ამიტომ აქ მათზე აღარ შევჩერდებით.

დასასრულ, ნორმატიული ხმარების თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა აქვს ორთოგრაფიული ლექსიკონის მონაცემებს.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი სუპლექტური ზმნების მიმართ სრულიად ცალსახა და თანამიმდევრულ პოზიციას ავლენს: როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმების (მასდარის, მიმღებობის) წარმოდგენისას იძლევა რიცხვის მიხედვით დაპირისპირებულ მონაცვლეს, რომელსაც ახლავს ერთგვარი კომენტარი ფრჩხილებში. სისტემურობისათვის მოგვყავს ყველა ამ ზმნის თითო-ოროლა ნიმუში (ბლოკების მიხედვით):

1) ზის (ზიხარ, ვზივარ), მაგრამ სხედან **ისინი**, სხედხართ **თქვენ**, ვსხედვართ **ჩვენ**;

სხედს (**ხალხი**), სხედან **ისინი**, **მაგრამ** ზის ის (ვზივარ, ზიხარ)¹.

2) სხდება (**ხალხი**), სხდებიან **ისინი** (ვსხდებით, სხდებით), **მაგრამ** ჯდება (ვჯდები, ჯდები) **ერთი**.

მოუსხდება (**ზევრი**), **მაგრამ** მოუჯდება (**ერთი**).

მოუჯდება (**ერთი**), **მაგრამ** მოუსხდება (**ზევრი**), მოუსხდებიან **ისინი**.

¹ საგულისხმოა, რომ ლ. კვაჭაძე რიცხვში მონაცვლე ზმნების, კერძოდ, **სხედ** ძირის შემცველი პარადიგმების ჩამოთვლისას მხოლოდ მრავლობითის ფორმებს ასახელებს (**ვსხედვართ, სხედხართ, სხედან; ვსხდებით, სხდებით, ხდებიან; დავსხედით, დასხედით, დასხდნენ; ვისხედით, ვსხედით, ისხდნენ**), ასევე სახელზმნურ ფორმებს (**სხდომა, დამსხდარი**), მაგრამ თავს იკავებს სტატიკური პარადიგმის აწმყოს მხოლოდობითის **სხედს** ფორმისაგან, თუმცა კი მოჰყავს აორისტის ზმნისწინიანი ფორმა კრებით სახელთან შეხამებაში: „**ხალხი დასხდა**, მაგრამ **სტუმრები დასხდნენ**“ (კვაჭაძე გვ. 270), რაც მიუთითებს **სხედს** ფორმის არააქტუალურობაზე (რომელსაც ი. გოგებაშვილი დაუბრკოლებლად იყენებს „ზუნების კარში“).

შემოუსხდება (**ბევრი**), **მაგრამ** შემოუჯდება (**ერთი**)
 ჯდება... **ის**, **მაგრამ** სხდებიან **ისინი**

3) დასხამს (**ბევრს**), დასხა, დაუსხამს (**ბევრი**)
 დასხდება (**ბევრი**)
 მიუსვამს, მიუსვა (**ერთი**), **მაგრამ** მიუსხამს, მიუსხა (**ბევრი**)
 შეისხამს (**მრავალს**), **მაგრამ** შეისვამს (**ერთს**)
 შესხამს, შესხა, შეუსხამს (**მრავალი**)

4) მოიბამს (**ერთს**), **მაგრამ** მოისხამს (**ბევრს**)
 მოისხა (**ბევრი**), **მაგრამ** მოიბა (**ერთი**)

5) გაცვივდება (**ხალხი**), გაცვივდებიან **ისინი**
 გაცვივდებიან, გაცვივდნენ **ისინი**, **მაგრამ** გავარდება, გავარდა **ის**
 მიუვარდება... **ის**, **მაგრამ** მიუცვივდებიან **ისინი**
 მოუცვივდება (**ბევრი**), **მაგრამ** მოუვარდება (**ერთი**), მოუცვივდებიან **ისინი**
 შემოუვარდება... (**ერთი**), **მაგრამ** შემოუცვივდება (**მრავალი**)
 შემოუცვივდება... (**მრავალი**), **მაგრამ** შემოუვარდება; შემოუვარდა (**ერთი**)

6) [მოკვდნენ **კი არა**] დაიხოცნენ
 დაიხოცება... (**ხალხი**)

7) მოკლავს (**ერთს**)... **მაგრამ** დახოცავს (**ბევრს**)

8) აწყვია, ეწყო; ეწყოს (**ბევრი**), **მაგრამ** დევს (**ერთი**)
 ძევს (წიგნი მაგიდაზე), **მაგრამ** აწყვია (**წიგნები**)

9) გატეხს (**ერთს**), **მაგრამ** დაამტვრია (**ბევრი**)

10) გატყდება... (კოკა), **მაგრამ** დაიმტვრევა... (კოკები)
 დაიმტვრა (კოკები), **მაგრამ** გატყდა (კოკა)

იგივე ითქმის ამ ზმნების სახელზმნურ ფორმებზედაც – მასდარსა და მიმღობაზე (ანბანურ რიგში იგივე მონაცემები ხშირად მეორდება).

დაგდება (**ერთისა**), **მაგრამ** დაყრა (**ბევრისა**)
 დაყრა (**ბევრისა**), **მაგრამ** დაგდება (**ერთისა**)
 დახოცვა (**ბევრისა**)
 მოკვდომა (**ერთისა**), **მაგრამ** დახოცვა (**ბევრისა**)
 სხდომა **მრავლისა**
 შესხდომა **მრავლისა**, **მაგრამ** შეჯდომა (**ერთისა**)
 მსხდომარე // მსხდომი (**ბევრი**)

მჯდომარე (**ერთი**), **მაგრამ** მსხდომარე (**ბევრი**)
მჯდარი // მჯდომი (**ერთი**), **მაგრამ** მსხდარი // მსხდომი
(**ბევრი**)

მსხდარი (**ბევრი**), **მაგრამ** მჯდომი (**ერთი**)

ჯდომა (ერთისა)

გატეხა (**ერთისა**), **მაგრამ** დამტვრევა (**ბევრისა**)

გატყდომა (**ერთისა**), **მაგრამ** დამტვრევა (**ბევრისა**)

გატეხილი (**ერთი**), **მაგრამ** დამტვრეული (**ბევრი**)...

ნიმუშების გამრავლება კვლავაც შეიძლებოდა სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმის დამატების ხარჯზე, მაგრამ საერთო სურათი ნათელია და მასალის განვრცობას აზრი არა აქვს.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ სხვადასხვა დროის ლექსიკოგრაფიულ წყაროებში მოცემული ფუძემონაცვლე, კერძოდ, რიცხვმონაცვლე ზმნების მეწყვილე პარადიგმების შეჯერების შედეგად?

უწინარეს ყოვლისა, მთელი განხილული მასალა ცხადყოფს, რომ სუპლექტურ ზმნებში თავს იჩენს აქტანტების (სუბიექტის ან ობიექტის) რაოდენობრივი დაპირისპირება, ოღონდ ეს დაპირისპირება კონკრეტულ რიცხვით-რაოდენობრივ შეფარდებას კი არ ასახავს, არამედ **თვისებრივს**, რაც მათ შორის დიამეტრალურ დაპირისპირებას გულისხმობს. სალექსიკონო განმარტებები ამ ზმნებისა გრამატიკულ დახასიათებას გარკვეული კალაპოტით წარმართავს: ამ თვალსაზრისით **ერთს** უპირისპირდება არა უბრალოდ **ერთზე მეტი** კონკრეტული რიცხვი (მათ შორის **ერთთან ყველაზე ახლოს** მყოფი **ორიც** და **სამიც**), არამედ სწორედ რომ **ნამდვილი სიმრავლე, დაუთვლელი და გაურკვეველი ბევრის** აღმნიშვნელი და მგულისხმებელი. განმარტებითი ლექსიკონი უპირატესად და ორთოგრაფიული ლექსიკონი მთლიანად ამ სიმრავლეს ამკარად და ხაზგასმით ადასტურებენ¹.

¹ გამონაკლისის სახით ქველის VII ტომში გვხვდება თითო-ორილა შემთხვევა, როცა მხოლოდობითში წარმოდგენილი სუპლექტური ზმნის სუბიექტის მსაზღვრელად **ბევრი** ან **მრავალი** კი არა, არამედ **1-ზე მეტის** აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია დასახელებული (და ეს ხდება 78

ის გარემოება, რომ სუპლექტური ზმნები ორივე რიცხვის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს, – და ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობის მქონედ მიგვაჩნია სწორედ მხოლოობითში მისი ხმარების ფაქტი, – ირიბად მაინც მიგვინიშნებს სიმრავლის სემანტიკისა და მხოლოობითი ფორმის შემაპირობებელი სემანტიკურ-სინტაქსური მექანიზმის არსებობას ზმნის აქტანტების (სუბიექტის, ობიექტის) გამომხატველ არსებით სახელთა შორის.

ამავე საკითხს უკავშირდება ის კითხვაც, რომელიც დაისმის საანალიზო ზმნების შემსწავლელის წინაშე: **რა საჭიროებას უნდა გაეჩინა სიმრავლის გამოსახატავად ზმნის სუპლექტური ფორმები?**

ვფიქრობთ, ამ კითხვას ყველაზე შესაფერის (ადეკვატურ) პასუხს გასცემს იგივე ფაქტორი, რომელმაც წარმოშვა **კრებითი სახელები**, რომლებიც საზოგადო სახელებთან შედარებით დაუთვლელ (ან ძნელად დასათვლელ) საგნებს აღნიშნავს. კრებითობის ცნება კი გულისხმობს **მასობრივ სიმრავლეს** და არა უბრალოდ ერთზე მეტს. აკი რიცხვი **ორიც** (ისევე როგორც **სამი, ოთხი** და ა. შ.) **ერთზე** მეტია, მაგრამ **არსებით სიმრავლეს** ის ვერ გამოხატავს.

ზემოთქმულის დამატებითი დამადასტურებელია დერივაციული ფაქტორი – კერძოდ ის, რომ კრებითობის, ერთობლიობის მიმანიშნებელი სუფიქსი **-ეულ** ერთობლიობის ფუნქციას მხოლოდ სამიდან მოყოლებული ასრულებს. შესაბამისად, რიცხობრივი რაოდენობის კრებითი მნიშვნელობა ქართულში მხოლოდ **სამეულით** იწყება. ამასვე ადასტურებს მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორში გავრცელებული სიმრავლის გამომხატველი რიცხვების ხმარების ტრადიციები, რომელთა მიხედვითაც რიცხვი **სამი** თავდაპირველი და მინიმალური სიმრავლის გამომხატველია. **ხუთი, შვიდი, ცხრა, თორმეტი** მომდევნო საფეხურე-

მხოლოდ ორჯერ – ლექსებთან **შესხდება, შეუსხდება**): „(ჩვეულებრივ, მხოლოობითის ფორმით იხმარება ისეთ სუბიექტთან, რომელიც გამოხატულია (ან განსაზღვრულია) კრებითი ან (ერთზე მეტი) რიცხვითი სახელით, მრავლობითის ფორმით კი – მრავლობითში დასმულ სუბიექტთან) = შეჯდება მრავალი/ = შეუჯდება, შეუდგება (ბევრი)“.

ბია ან სხვადასხვა კულტურის შენაძენია რიცხვითი სიმრავლის განვითარების გზაზე).

სიტყვა **ერთეულზე** რომ არაფერი ვთქვათ, **ორეულიც** ვერ გამოხატავს იმ რაოდენობის ერთიანობას, რომელსაც სიტყვის ფუძე შეიცავს: იგი მხოლოდ დუბლეტს, უფრო ზუსტად, ერთი ვინმეს ან რამის მიმსგავსებულ ვარიანტს, ასე ვთქვათ, ანარეკლს გულისხმობს, მაგალითად, ამ კონტექსტში: „ის ჩემი ორეულია“ (= მე მგავს).

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ქართული კომპოზიტები **თითო-ოროლა**, **ერთი-ორი**, ანდა სიტყვათშეხამებები **ორი ღერი სიტყვა** (= ცოტა, სულ რამდენიმე სიტყვა), **ორი დღის სიცოცხლე** (= ცოტა ხნის სიცოცხლე) სწორედ რომ ოდნაობა-სიმცირის აღსანიშნავად იხმარება დაუკონკრეტებელი სიმრავლის საპირისპიროდ¹.

ყოველ შემთხვევაში, რიცხვი „**ორი**“ რომ ნამდვილი სიმრავლის შეგრძნებას ვერ ბადებს ვერც ქართული სიტყვის დიდოსტატებში, იქიდანაც ჩანს, რომ ვაჟას პროზაულ ტექსტში **დაკლავს** ზმნისათვის სუპლექტივის საჭიროება ერთნაირად არ გაჩენილა როგორც **ერთი**, ისე **ორი** ობიექტისათვის: „**დავკალი ერთი** მსუქანი კერატი. **დავკალი ორი** ინდაური, **დავკალი ერთი** ცხვარი, **დავხოცე ოთხი-ხუთი** ქათამი“ (ვაჟა V: 252)².

¹ ანალოგიური მაგალითები შეიძლება დავასახელოთ სხვა ენებშიც. იხ., მაგ., რუსულში: *раз-другой*, ანდა: *раз, два* и *ончелся, сказать пару* (=2) *члов* და სხვ. ქართულშიც რიცხვ 2-ის აღმნიშვნელი სიტყვა **ორი** ისეთ ნაწილაკოვან სიტყვებს დაირთავს, რომლებიც მის ოდნაობით ნიუანსს გახაზავს. (მაგ., **ორიოდე** დღე დარჩენია სიცოცხლისა; **ორი ღერი** რუსული ძლივს იცის). შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა **ორი** ხშირად **ერთის** აღმნიშვნელ სიტყვებთან ქმნის სხვადასხვა შეხამებას: **ერთი-ორი** სიტყვა (= ცოტა რამ) უნდა გითხრა; გაკრული ხელით ნაწერში **თითო-ოროლა** (= ცოტა) სიტყვა ძლივს გაარჩია და მისთ.).

² სხვათა შორის, ვაჟას საშობაო მოთხრობის ამ ნაწყვეტის ერთ-ერთი ციტირებისას გამორჩენილია მძიმით დაკავშირებული წინამავალი წინადადება: „**დავკალი ორი ინდაური**“, რომელსაც წინ უძღვის ცალკე წინადადება: „დავკალი ერთი მსუქანი კერატი“. ეს წინადადებები აღვადგინეთ ა. შანიძის მიერ იმავე ადგილის ციტირებული ვარიანტის

აქვე უნდა ითქვას კოლექტიურობა-კრებითობის ერთი ნიუანსის შესახებაც: ზოგჯერ საზოგადო კონკრეტული სახელი კრებითი სახელის ფუნქციით იტვირთება. მაგალითად, წინადადებაში „**ცხვარი** ზაფხულობით იალაღებზე აჰყავთ“ სიტყვა **ცხვარი** კრებითი მნიშვნელობით იხმარება, როგორც მთელი ფარის განმასახიერებელი. იგივე ითქმის სიტყვა **ფოთოლზედაც** ილიასეულ სტრიქონში: „ტყემ **მოისხა ფოთოლი**“. სუპლექტური ზმნა **მოისხა** (მხოლოდობითში მისი მეწყვილეა **მოიხა**) მასთან დაკავშირებული ობიექტის გამომხატველი სახელის კრებითობას ადასტურებს (ხეები, ტყე და მისთ. ფოთლებით ხომ ერთდროულად და ერთიანად იმოსება და არა სათითაოდ!). ასევე კრებითადაა გაგებული სიტყვა **მსხალი** ამ კონტექსტში: „მირს ცვივა მსხალი“ (მ. მაჭავ.).

ანალოგიურია სიტყვა **ტყვიაც** ისეთ კონტექსტებში, როგორცაა თუნდაც: **ტყვია დაუშინა**, ანდა: **ტყვია დააყარა** (საგულისხმოა, რომ მეორე სინტაგმაში ზმნა **დააყარა** სწორედ სუპლექტური სიმრავლის გამომხატველია. ასე რომ, კრებითობის გამომხატველ სახელსა და ზმნას შორის სრული სემანტიკური ჰარმონიაა). ამავე სახისაა გამოთქმა – **ქათამი ჭირმა გაწყვიტა**, რომელშიც აპელატივი **ქათამი** კრებითი სახელის გაგებით იხმარება და იმიტომ იხამებს იგი სუპლექტურ **გაწყვიტა** ზმნას, როგორც **დახოცა** ზმნის სინონიმს.

მაგრამ აღნიშნული საზოგადო სახელები მხოლოდობით რიცხვში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. სუპლექტურ ზმნებზე მსჯელობისას, პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისეთი კრებითი (აგრეთვე ნივთიერებათა) სახელები, როგორცაა: **ხალხი, ჯარი, ფული, ავეჯი, ჭურჭელი, სურსათი, სანოვაგე, ხილი, ბოსტნეული, მწვანელი, ტანსაცმელი, თეთრეული, ბარგი, ნაგავი, ხრეში...** აგრეთვე სხვადასხვა ცხოველთა ნაკრების სახელწოდებანი: **ჯოგი // ნახირი, რემა, ფარა, კოლტი, ხროვა...**. ადამიანთა ნაკრებს ხომ რამდენიმე სახელწოდება აქვს, სტილისტიკური ნიუანსებით განსხვავებული (**ჯგუფი, ბრბო, ჯგრო...**). სწორედ ამგვარ სახელებს, მრავლობითის მაწარმოებელი რომ არ

მიხედვით, ხოლო მისი სისწორე დავადასტურეთ დედანთან შეჯერების შედეგად.

დაერთვის¹, შეეწყობა, უწინარეს ყოვლისა, სუპლექტური, ფუძემონაცვლე ზმნები, ოღონდ **მხოლოდობითი რიცხვის** ფორმით, რის შედეგადაც ვიღებთ სინტაქსური შეთანხმების წესით გაფორმებულ ასეთ სინტაგმებს:

ხალხი დაიხოცა (და არა **მოკვდა**), **კურჩელი დაიმტვრა** (და არა **გატყდა**), **ნაგავი, ხრეში... ყრია** (და არა **გდია**) და ა.შ.

როგორც ზემოთ ითქვა, მსგავსადვე იქცევა ნივთიერების სახელებიც (თოვლის გადმოყრა, ტომრიდან სიმინდის გადმოყრა, მინის დამსხვრევა...). ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც მრავლობითის ნიშნით გაფორმებულმა, სუბიექტად გამოყენებულმა სახელმა შეიძლება შეიწყოს სუპლექტური ზმნა მხოლოდობითში, არის „რა“ ჯგუფის (ძირითადად უსულო) სახელები და ამის მაგალითები საკმაო სიხშირით მოიპოვება (**ქალაქები გადმოცვივდა** მაგიდიდან; თვალებიდან **გადმოსცივდა ცრემლები**; გაცეები-საგან ლამის **თვალეები გადმოსცივდა**...).

ორგანული კავშირი სუპლექტური ზმნებისა კრებით ან ნივთიერებით სახელებთან, რომელთაც ემპირიული დაუთვლელია აერთიანებთ, იქნებ ირიბად, მაგრამ მაინც უტყუარად წარმოაჩენს ამ ზმნების გარკვეულ სტილისტიკურ ნიუანსებს. მაგალითად, არ შეიძლება არ შევნიშნოთ **დახოცვა** ზმნის მასშტაბურობა და ენერგიულობა. იგი უფრო ტიპობრივად და ინტენსიურად იხმარება **მასობრივი** მკვლელობა-სიკვდილიანობის ამსახველ – **ომიანობისა** თუ **ეპიდემიების**, ასევე ნადირობის ამსახველ კონტექსტებში. დამახასიათებელია, რომ „ვეფხისტყაოსანში“, როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის პასაჟებში, ეს ზმნა რამდენჯერმე მეორდება. მათ შორის ერთგან ამ ზმნას სინონიმური ზმნა – **ამოწყდომა** უკავშირდება (გავიხსენოთ, რომ საბას ლექსიკონში ზმნები **დახოცა** და **ამოწყუდა** ერთმანეთის მეშვეობითაა გან-

¹ ზოგ კრებით სახელს მრავლობითი რიცხვი კი ეწარმოება, მაგრამ სხვა მნიშვნელობით: მაგ., სიტყვა **ხალხი** მრავლობითს კი აწარმოებს, მაგრამ არა როგორც ადამიანთა ერთობლიობა, არამედ როგორც გარკვეული ეთნიკური ერთობა (ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ სხვადასხვა მოდემის **ხალხები**: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები, მოლდაველები, ტაჯიკები, ყირგიზები, ყაზახები, თურქმენები, სომხები, ქართველები, აზერბაიჯანელები და სხვ.).

მარტებული), რუსთაველის პოემაში კი გვერდიგვერდ იხმარება): **დახოცეს** და ამოწყვიდეს (77, 2). სხვაგან: **მიჰხოცდეს** და მი- ისროდეს... (76, 2).

დასასრულ, გავიხსენოთ როსტევეანისა და ავთანდილის ნა- დირობის ცნობილი ეპიზოდი:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი **დაუხოცია**“ (81, 2).

კრებითი მნიშვნელობა აქ მოყვანილი ზმნებისა სხვა ისეთი სინონიმური ზმნებითაც შეიძლება, როგორცაა: **ამოყლეთა, ამოწყვეთა, გაწყვეთა, მოსგრა** (< ძვ. ქართ. **მოსრვა**). მაგალითად, ასეთ კონტექსტებში იტყვიან: ჭირმა **გაწყვეთა ქათამი**. სასტიკ ბრძოლაში **შეიმუსრა / მოისრა** მთელი **ჯარი** და მისთ.

მაგრამ თუ საქმე ეხება ცვალებადი სიმრავლის აღმნიშვნე- ლი რაოდენობითი რიცხვითი სახელებით გამოხატულ მსაზღვ- რელებს (მეტადრე, თუ რიცხვით სახელებს ოდნაობის ნიუანსის გადმომცემი **-ოდე** ნაწილაკიც ერთვის), მათთან სუპლექტური ზმნების ხმარების არანაირი საჭიროება არ არის: ზემოთ წარმო- დგენილი სქემა ატრიბუტული და სახელურ-ზმნური სინტაგმე- ბის ჯაჭვურ კავშირს თვალსაჩინოდ ასახავს.

ასე რომ, თუ მსაზღვრელი აღნიშნავს საგნის კონკრეტულ, რიცხვებით გამოხატულ რაოდენობას, ამგვარ მსაზღვრელთან საზღვრული, წესისამებრ, მხოლოობითში დადგება, მხოლოობით- ში დასმულ მსგავს სახელებს კი, საერთო წესის მიხედვით, ზმნაც მხოლოობითში შეეწყობა. თუკი კონტექსტით სუბიექტი ან ობიექტი ამკარად მცირე რაოდენობითაა ნაგულისხმები, ცხადია, მხოლოობითი რიცხვის საჭიროება უკვე აუცილებლობად იქცევა, მაგალითად, ამგვარ კონტექსტებში:

ის **ორიოდ ვაშლიც**, რომლებიც შემორჩენოდა ხეს, გუშინ **ჩამოვარდა** (შდრ. ვაშლები ჩამოცვივდა). პატიმრებს შორის **ხუთი კაცი** ქურდობის გამო **ზის** (და არა სხედს!), ორი – ყაჩაღობისა- თვის და ერთიც – მკვლელობისათვის. ბაღში **ორი მოხუცი იჯ- და** და წყნარად საუბრობდა (შდრ.: მოხუცები ისხდნენ და წყნა- რად საუბრობდნენ). სუფრისათვის **ექვსი ქათამი** და **ორი გოჭი დაიკლა** (შდრ. დაიხოცა). სტომატოლოგმა **სამი პაციენტი** შეიყვა- ნა თავის კაბინეტში და სპეციალურ სკამებზე **დასვა** (შდრ. და-

სხა). მაღაზიაში შევარდნილმა ავტომატიანმა ბანდიტმა გამყიდველებს ესროლა, **ორი კაცი** იქვე **მოკლა** (შდრ. დახოცა), ოთხი კი მძიმედ დაჭრა. ქალს შიშისაგან ჭურჭლიანი ლანგარი ხელიდან გაუვარდა და **სამი ჭიქა გაუტყდა** (შდრ. ჭურჭელი დაემტვრა)...¹

პირიანი ზმნების შესახებ თქმული, ცხადია, ვრცელდება სახელზმნებზედაც – მასდარებსა და მიმღებებზე:

ჯეიმს ჯოისის ვრცელი მოთხრობა „**მკვდრები**“ მოთხრობების კრებულშიც

შევიდა და ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ბიბლიოთეკარმა მკითხველის მიერ გასატანად **გადადებული რამდენიმე წიგნი** ჟურნალში გააფორმა. მთაში მოგზაურობისას **გადასავარდნი ადგილები** ხშირად შეგხვდებათ. **ოთხი დაკლული ქათამი** დროებით მაცივარში შეინახეს. **ხუთი კაცის მკვლელი** ბოლოს და ბოლოს პოლიციამ დააპატიმრა. ოთარიც და მერაბიც ისეთი ონაგრები ყოფილან, რომ ორივე ცხენიდანაც **გადმოვარდნილა** და ხიდანაც **ჩამოვარდნილა**.

აქ ზეპირად მოყვანილი ტიპობრივი მაგალითები შეიძლება დოკუმენტურადაც დავადასტუროთ სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურიდან:

„**ორთავე** ერთგან **მოკლული ყველაი** ასჯერ ოცია“ (ვეფხ. 81, 1). „**ასი სული ცხვარი დაკლა** და ორასი ნიშა ხარი“ (ი. დავით.). „**არ კვდებიან** სამშობლოსთვის **დაღუპულნი**“ (მ. მაჭავარიანი, „დავით და კონსტანტინე“)...; „აქ ზოგი იტყვის: – **ჩვენც მოვკვდებით!**“ (იქვე, 131). – „ამ იადონებმა გამყიდესო, **ყველა** ორსამ თვეში **კვდებიანო**“ (ნ. დუმბაძე, თეთრი ბაირაღები, გვ. 440: პერსონაჟის მეტყველებიდან გამართულად იქნებოდა: **ყველანი... იხოცებიანო**, ან: **ყველა იხოცება**, ანდა **კვდებოდაო**)². თუმცა შდრ. იქვე: ... „**იადონები** სამოთხეში **იხოცებიან**“ (გვ. 440)¹.


¹ ამ და მომდევნო აზნაცის ტექსტები ავტორისეულია, როგორც დასაშვებად მიჩნეული ტიპობრივი მაგალითები.

² ნ. დუმბაძის ამავე ნაწარმოებში მრავლობითში დასმულ ობიექტს სტაბილურად ერთი და იგივე სუპლექტური ზმნა შეეწყობა: „– ერთი გიჟი დადიოდა თბილისის ქუჩებში და **შუშებს ამტვრევდა**... ხელწერილს დაადებინებდნენ, **ფანჯრებს** ალარ **დავამტვრევო** და გაუშვებდნენ... დღეში **15 ფანჯარაზე ნაკლებს** არ **ამტვრევდა**...“ – გვ. 441). „...მი-

4. ნორმატიულობის საკითხი სუბლექტური ზმნების არჩევისას. ნორმატიული საკითხების დასმა-გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ქართულისათვის დამახასიათებელი მტკიცე სინტაქსური წესები სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან საზღვრულებისა და მათთან შეხამებული ზმნების მხოლოლობითი ხმარებისა. ეს ლოგიკური ჯაჭვი წანამდღვრების სახით საფუძვრებრივად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

- 1) **ორი კაცი;**
- 2) **კაცი მიდის.**

თუ ამ ორ წანამდღვარს შევკერებთ, მივიღებთ შემდეგნაირ სქემას:



ვადგები, რაც თბილისში **შუშებია, და გამტვრევ და გამტვრევო...**“ – გვ. 444).

¹ შევნიშნავთ, რომ სუბლექტური ზმნების აუცილებელი მონაცვლეობა არ იგულისხმება ზოგიერთი ამგვარი ზმნის მხოლოლობითის ფორმის უღლებისას. მაგ., არნ. ჩიქობავას მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1968) როგორც ერთპირიანი პასიური **კვდება** (ძვ. **კუდების**) ზმნის, ისე მისი სემანტიკური ეკვივალენტის, ფორმალურად კი ოპოზიციური ორპირიანი აქტიური **კლავს** ზმნის უღლებისას სუბიექტ-ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა მხოლოდ აფიქსებს აკისრიათ (მოყვანილია ძველქართული ფორმები): შდრ.: **იგინი კუდებიან** (კუდებოდეს, მოკუდეს), **თქუნ ბკუდებით** (ბკუდებოდით, მობკუდით), **ჩუნ გკუდებით** (გკუდებოდით, მოგკუდით... (ჩიქობავა 1968: 144) და: იგი **გკლავს** (**გკლავიდა, გკლავიდეს**) **ჩუნ, მან გკლავს ჩუნ**... (იქვე, 152-4), თუმცაღა **ზის** ზმნასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „**ზის** მრავლ. მესამე პირისათვის ახალ (= სხვა. შ. ა.) ძირს იყენებს: **სბენან //სხედან**“ (იქვე, 147).

ამგვარი „ჯაჭვური რეაქცია“ ანალოგიურ შემთხვევებშიც ძალაში რჩება. ამიტომ არა აქვს დიდი მნიშვნელობა, **მიდის** ზმნას შევუწყობთ სახელს, თუ **ზის** ზმნას, **შეგარდება** თუ **დააგ-დებს** ზმნას. აქედან გამომდინარე, არც ზმნის პოტენციურ რიცხვმონაცვლეობას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საერთოდ, ამგვარ შემთხვევებში კითხვის ქვეშ დგება სუპლექტური ზმნების ხმარების საჭიროება, მით უფრო – აუცილებლობა.

მართლაც, თუ კონკრეტული საზოგადო სახელი მხოლოდ-ბითში დარჩება, ამა თუ იმ რიცხვმონაცვლე ზმნის შეხამების დროსაც ზმნა მხოლოდობითში უნდა დადგეს. ვთქვათ, **კაცი ზის, ის ზის – კაცები სხედან, ისინი სხედან**, მაგრამ: **იმ მეგლთან მუ-დამ ორი-სამი კაცი // რამდენიმე კაცი ზის** (და არა: **სხედს!**)¹.

ამასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ ოპოზიციური ალტერნანტები აღარ დასტურდება არა მარტო რიცხვმონაცვლე ზმნების შემცველ ტერმინოლოგიურ სიტყვათშეხამებებში, არამედ (და მით უფრო) იდიომურ გამოთქმებსა და სხვა სახის ფრაზეოლოგიზმებში. სანიმუშოდ ქეგლისეული რამდენიმე მაგალითის დამოწმებით დავკმაყოფილდებით:

დაუფარდება / ჩამოუვარდება:

თუ უარყოფით ნაწილაკთან შეხამებაში რომელიმე ეს ზმნა იხმარება მეტოქეობის აღსანიშნავად, მრავლობითის სუპლექტური

¹ ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებთ, რომ დაბალი კლასების ზოგ სახელმძღვანელოში მოსწავლეებს ხანდახან ორაზროვანი სავარჯიშოები ეძლევათ. მაგ., ერთ-ერთ სავარჯიშოში მეოთხეკლასელთაგან (!) მოითხოვენ ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსებას გვერდითა ვერტიკალურ სიაში განლაგებული 4 რიცხვმონაცვლე ზმნიდან ერთ-ერთით (საქმე ეხება „მშობლიურ ენას“, IVკლასის სახელმძღვანელოს, გამ-ბა „საქართველოს მაცნე“ (უთარილო გამოცემა; სავარაუდოდ 2007-09 წწ., გვ. 39), თუმცა დიდი არჩევანი არ რჩება: **მრავლობითის მხოლოდ სუპლექტური** ფორმა უნდა აირჩიოს მოსწავლემ – მრავლობითის ნიშნით ან უიმისოდ! სინამდვილეში კი სწორი ზმნური ფორმები უნდა შერჩეულიყო რიცხვით დაპირისპირებულ ფორმებს შორის (**ჩაცვივდა** თუ **ჩავარდა**, **დასხდა** თუ **დაჯდა**...), რისთვისაც მოსწავლეები წინასწარ უნდა ყოფილიყვნენ სათანადოდ შემზადებულნი.

ფორმა – **ცვივ(დებ)ა** ამ შემთხვევაში რელევანტური ვერ იქნება. მაგალითად:

ქართველებიც სილამაზით თავის სამშობლოს არ დაუვარ-
დებიან (გოგ., 419). ზოგნი... შემძლებელს გლებებს ქონებით არ
დაუვარდებიან (იქვე: 434). კაკო და ზაქრო ყაჩაღად გავარდნენ.

ამკარაა, რომ აქ მოყვანილ ზმნებს ვერ ჩავანაცვლებთ **და-**
უცვივდებიან, ჩამოუცვივდებიან ან **გაცვივდნენ** ფორმებით.

პრაგმატულ მეტყველებაში გვხვდება მრავალი ისეთი სიტყვათშეხამება, რომლებიც არც იდიომებია, არც ტერმინოლოგიური შესიტყვებები, მაგრამ ზმნის აქტანტების აღმნიშვნელ სახელებს მრავლობითი ზმნის სუპლექტურ ფორმებს მაინც ვერ უხამებენ. მაგ., **ფასების აწევის** ან **დაწევის** მნიშვნელობით გამოიყენება გამოთქმები – **ფასები ავარდა** და **დავარდა** (და არა: **აცვივდა** და **დაცვივდა**). მსგავსი ნიმუშები სხვაც არაერთია. კერძოდ, ამკარა იდიომები: **გულში ჩაუვარდა, თვალში ჩაუვარდა** და მისთ. გამოთქმები, რომლებშიც ზმნას ვერ ჩავანაცვლებთ სუპლექტური მრავლობითის ფორმებით.

იგივე ითქმის **ჯდება, უჯდება** ფორმებზე, როცა ისინი აღნიშნავენ ღირებულება-ფასეულობას (მაგ.: რა /რამდენი **ჯდება** = რა ღირს) საგზური?). საქონლის მიტან-გამოტანა იაფადაც **ჯდება...** ძვირათაც **უჯდებათ** [კახელებს] (ი. გოგებაშვილი, 441). შდრ.: მე და სადგურის უფროსი ჩავუჯექით ღვინოს (შ. არაგვისპირელი).

სხედ ძირის შემცველი ვერც ერთი ზმნა ვერ შეცვლის მხოლოლობითის ფუძის შემცველ ზმნებს ზემოაღნიშნული მნიშვნელობით.

მსგავსივე სურათი გვექნება, თუ ავიღებთ ამ ზმნის გარდამავალ ფორმას (და)**სვამს**, როდესაც ეს უკანასკნელი იდიომის შემადგენელი ნაწილია, მაგ.: იდიომში **მშრალზე დასვა** ზმნური კომპონენტი ვეღარ აწარმოებს სუპლექტურ ფორმას და ობიექტი რომელ რიცხვშიც უნდა იდგეს, იდიომის შესანარჩუნე-

ბლად მხოლოდობითის ფორმაა საჭირო¹.

რიცხვმონაცვლე ზმნების ასეთივე სემანტიკური შეუთავსებლობაა **ზამ-** ფუძის შემცველი ზმნისაგან მიმღეობის წარმოებისას, კერძოდ, **მიზმულს** (ძვალს) ვეღარ შეესაბამება იმავე წესით ნაწარმოები **მისხმული** და პირველი დარჩება ცალად, მეწყვილის გარეშე:

[ხერხემალზეა] **მიზმული ყველა** სხვა **ძვლები...** ფეხის **ძვლებიც** კი [თემოს ძვალზეა] **მიზმული**. ხერხემლის ქვემო ნაწილებზე **მიზმულია სამი ძვალი...** ფეხის **ძვლებიც** იმაზედ **არის მიზმული** (გოგებ., 200).

ცხადია, რომ ამ მიმღეობაში **მი-** ზმნისწინი ამ ფუძეს უცვლის სემანტიკას, ამდენად მიმღეობა **მიზმულის** თეორიული სუპლექტური ფორმა ***მისხმული** მისი რეალური რიცხვმონაცვლე ვერ იქნება.

ლექსიკური საშუალებებით გამოხატული მრავლობითობა ენისა და კულტურის თავისებური სიმდიდრეა და შეუძლებელია გაუთვითცნობიერებლობით მათ ადვილად შეველიოთ.

ამასთანავე, რყევის პროცესიც თვალსაჩინოა. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება ნორმატიული და არანორმატიული საკითხების გამიჯვნა და გარკვეული სტილისტიკური ნიუანსების გათვალისწინებაც.

საანალიზო რიცხვმონაცვლე (სუპლექტური) ზმნების შესწავლის საფუძველზე მათი ხმარების წესები ამ სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. რიცხვმონაცვლე ზმნები იხმარება მრავლობითშიც (**მიცვივდება**, **ყრია**, **სხდება** / **დასხდნენ**...) და მხოლოდობითშიც (**მიცვივდება**, **ყრია**, **სხდება** / **დასხდა**...) პირველ შემთხვევაში (ანუ მრავლობითში), განსაკუთრებით, როცა მრავლობითში დასმული სუბიექტი სულიერთა სახელებს განეკუთვნება, სუპლე-

¹ ამგვარი მაგალითების შესახებ იხ. **შ. აფრიდონიძე**, იდიომი და იდიომურობა, კრებ. საენათმეცნიერო მიუზანი, თსუ გამ-ბა, თბ., 1983, გვ. 64-74.

ტურ ზმნებს ორმაგად ეწარმოებათ მრავლობითი სათანადო სუფიქსების დართვით: **სხედ-ან, დასხდები-ან**)¹. მეორე შემთხვევაში (მხოლოებითში) სუპლექტურ ზმნებს სუბიექტად შეეხამება კრებითი (ან ასეთად გაგებული) სახელები, ანდა მათთან დაუთვლელობის ნიშნით დაკავშირებული ნივთიერების სახელები, აგრეთვე **-ებ**-იან მრავლობითში დასმული უსულო სახელები.

2. თუკი საზღვრულს ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან გაურკვეველი სიმრავლის გამომხატველი მსაზღვრელი, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საზღვრულის მხოლოდობით რიცხვს² (**ორი / ზოგიერთი / ბევრი კაცი, ასი /რამდენიმე /ყველა წიგნი**), საზღვრული კი, თავის მხრივ, მოითხოვს მასთან შეხამებული ზმნა-შემასმენლისაგან **არა მარტო გრამატიკულ, არამედ ასევე სემანტიკურ შეთანხმებას რიცხვში**, ე.ი. ფუძითაც მხოლოდობითი რიცხვის ფორმას. მაშასადამე, გვექნება:

ა) ეზოში მოქეიფე **ორმა ბიჭმა** სიბნელეში ხეზე აძრომა **აიჩემა**, მაგრამ ჯერ შუამდისაც არ ასულიყვნენ, რომ ფეხი დაუცდათ და **ორივე** მალევე **ჩამოვარდა** ხიდან.

ბ) ბანდიტები შეცვივდნენ ბანკში და **მოკლეს** დაცვის **ორი მუშაკი**, აგრეთვე დაჭრეს სამი მოქალაქე, რომელთაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს; **რამდენი კაცი ზის** ახლა ქალაქის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში?

გასათვალისწინებელია ზოგი სემანტიკურ-სტილისტიკური ნიუანსიც: თუ განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი მსაზღვრელი გულისხმობს საზღვრულის მნიშვნელოვან რაოდენობას, მაშინ, ჩვეულებრივ, სუპლექტური ზმნა იხმარება, ოღონდ ამგვარ შემთხვევებში სუპლექტური ზმნა მხოლოდობითში უნდა იდგეს, – რაკი ნებისმიერი რაოდენობითი რიცხვითი სახელი საზღვრულს

¹ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ენის ყველა მომხმარებელი ერთგულად ემორჩილება ამ წესებს. ნორმის „დარღვევა“ შეიძლება შეპირობებული იყოს სხვადასხვა მოტივაციით (მაგ., კოლორიტის შესაქმნელად პერსონაჟების მეტყველებაში) ან, ზოგჯერ, უბრალოდ, უყურადღებობით, რისგანაც შეიძლება ცნობილი მწერლებიც არ იყვნენ დაზღვეულნი (მაგ.: **ჩვენ** ავდექით, მერე **დავჯექით...** (ნ. დუმბ.).

² ამ საკითხზე იხ. **კალაძე** 1981: 215-36; თქსენ, ბიულეტენი 3, 1987, 55-61.

მხოლოდობითში შეიწყობს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ზმნისგანაც ანალოგიურ (მხოლოდობითის) ფორმას მოითხოვს, ასე: ქორწილს დიდძალი ხალხი დაესწრო: სუფრას **ხუთასი კაცი მიუხსნდა.**

ორ დღეში ხიდან **უამრავი ფოთოლი ჩამოცვივდა.**

ლიტერატურა

არაბული 2008 – ავთ. არაბული, კვლავ ზმნური სუპლექტივიზმის ერთი უძველესი მოვლენისათვის ქართულში, იკე, XXXVI, თბილისი.

ერთელიშვილი 1963 – ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის. I ჰიპოტაქსის საკითხები. თბილისი.

კალაძე 1981 – ც. კალაძე, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან: კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, IV, თბილისი.

კვაჭაძე 1966 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კვაჭაძე 1993 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა (IV გამოც.), თბილისი.

მშობლიური ენა – IV კლასის სახელმძღვანელო (ავტორთა კოლექტივი, ვ. როდონაიას ხელმძღვანელობით), გამ-ბა „საქართველოს მაცნე“, [უთარილო], თბილისი.

ნორმები 1987 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №, თბილისი.

რამიშვილი 1992 – ვ. რამიშვილი ქართული ენა, IV კლასის სახელმძღვანელო, „აისი“, თბილისი.

ქავთარაძე 1946 – ივ. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში: იკე, I, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჩიქობავა – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

საილუსტრაციო წყაროები და შემოკლებანი

გოგ. – ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, 21-ე გამოც., თბ., 1912.

ქ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი (სამ ტომად), თბ., 1956-1067.

დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი (Comprehensive eorgian-English Dictionary, Editor-in-Chief – D. Rayfield), London, Garnett Press, 2006.

იკე – ჟ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, თბ.

ოლ – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., განათლება, 1968; 1998.

საბა – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1884.

სბიქე – კრებ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., თსუ გამ-ბა, 1956.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964; 2008.